

ბუნებრივს და მეცნიერებას წავსწავლავ საქართველოში

2004-2007



საქართველოს
განათლების
და მეცნიერების
სამინისტრო



შეფასებაში განათლების და მენეჯერების რეფორმის შედეგად

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მასშტაბური სისტემური რეფორმები განახორციელა როგორც სკოლის მართვისა და ფინანსური უზრუნველყოფის, ასევე სწავლებისა და სწავლის პრაქტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით. თავისი მოცულობითა და განხორციელების ვადებით აღინაშნული რეფორმები შეიძლება უარეკლენტო მოვლენად მივიჩნიოთ. რეფორმების ზოგადი მიმართულება და კონკრეტული მიდევნებები ზუსტად თავსდება იმ ჩარჩოში, რომელიც ეფუძნება თანამედროვე კვლევებს და კეთილსამიჯლო სასწავლო გარემოს განვითარების საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, დღეისათვის არსებულ კონსენსუსს სკოლის რეფორმირების შესაბამის მიზნებზე.

ჩატარებული შეფასება ცხადყოფს, რომ რეფორმის წინასწარი შედეგები მოიცავს მნიშვნელოვან წარმატებებს, ისევე როგორც ნებისმიერი ძირეული რეფორმისთვის დამახასიათებელ გარკვეულ პრობლემებს და მოსაგვარებელ საკითხებს.

რეფორმაში მონაწილე ყველა მხარემ მნიშვნელოვანი ძლიერება უნდა გაიღოს იმისათვის, რომ რეფორმები გავრცელდეს, გაუმჯობესდეს და გააუმჯობესოს საბოლოო სასურველი შედეგი - საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები, და ძირითადი საქართველო, სულ უფრო კონკურენტუნარიანი იყვნენ კონკურენტულ საერთაშორისო ბაზარზე”.

საკონსულტაციო ორგანიზაცია **PADECO**, იაპონია
ზოგადი განათლების ვარდაქმნისა და განმტკიცების პროექტ
“ილია ჭავჭავაძის” შეფასების დასკვნა, 2008
www.padeco.co.jp; www.reform.edu.ge

“დაერწმუნდით, რომ რეფორმის პროგრამა ამბიციური, სტრატეგიული, ყოვლისმომცველი და სწრაფია. ჩვენი აზრით, იმ ბაზის გათვალისწინებით, საიდანაც რეფორმა დაიწყო - მწირი რესურსების მქონე სკოლები, სხვა ეპოქასა და ყველაზე მეტი ძალისხმევით მორგებული სამართლებრივი სისტემა - მისასაღებელია მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესისადმი თანდათანობით, ეტაპობრივი მიდევნების ნაცვლად, რადიკალური სისტემური რეფორმის მაქსიმალურად სწრაფად განხორციელებას. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ შევისწავლეთ არაერთი ქვეყნის განათლების რეფორმა, მაგრამ იშვიათად, თუკი საერთოდ გვინახავს აძლენად მწყობრივ და კარგად დასაბუთებულ რეფორმის პროგრამა. ჩვენზე, ასევე, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა იმან, თუ როგორ უძღვევიან საქმეს მინისტრი და მისი გუნდი... განათლების რეფორმა თანმიმდევრული და დასაბუთებულია.”

ბრიტანელი განათლების ექსპერტები სერ მაიკლ ბარბერი, დევიდ პოპკინსი
საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის შეფასების ანგარიშიდან, 2006
www.mes.gov.ge

“ამჟამად, რომ ძალზე დიდი პროგრესი იქნა მიღწეული უმაღლესი განათლების სისტემაში ბოლონის რეფორმების განხორციელების პროცესში. სამსაფეხურია სტრუქტურა არათუ დაინერგა, არამედ განხორციელდა უმაღლესი განათლების მიზნების კარგად გაანალიზებისა და განსჯის საფუძველზე. საქართველო გვთავაზობს იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ბოლონის პროცესის ეფექტურად გამოყენება უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მხარდასაჭერად”

დევიდ კროსერი, ლუის პერსერი და ჰანდლ სმადლი,
ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია
ანგარიშიდან „უნივერსიტეტები უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩამოყალიბების პროცესში”, 2007,
www.mes.gov.ge



განათლების და მცენიერების რეფორმა საქართველოში (2004-2007)

განათლებისა და მცენიერების სამინისტროს ყოველი თანამშრომლისთვის მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებისთვის გასაგები იყოს რეფორმის სულისკვეთება, ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას რეფორმის მიმდინარეობის შესახებ და, ამასთანავე, ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა სხვადასხვა ფორმით ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჩვენი ღრმა რწმენით, საზოგადოება ხდება განხორციელებული ცვლილებების არამარტო პასიური მიმღები, არამედ განათლების რეფორმის შემუშავებისა და განხორციელების აქტიური თანამონაწილე.

ჩვენი სახელმწიფოს რეფორმირების პროცესში განათლებისა და მცენიერების რეფორმა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. რეფორმის ერთ-ერთ მიზანს კი წარმოადგენს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ჩვენი მიზანია სწორედ საზოგადოების მონაწილეობით ჩამოვაყალიბოთ თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემო - გარემო, რომელიც დაეფუძნება არჩევანის თავისუფლებასა, თანამშრომლობის, სამართლიანი კონკურენციისა და თანაბარი შესაძლებლობების, სამოქალაქო ერთიანობისა და კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემის პრინციპებს. ეს დაეხმარება ადამიანებს შეიძინონ და განავითარონ სოციალური წარმატებისთვის და თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნა და უნარები.

ვფიქრობთ, ამ ბროშურის გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ, რა გაკეთდა და რა გვსურს რომ გავაკეთოთ სამომავლოდ. ჩვენთვის ღირებულია ყოველი თქვენგანის საქმიანი შენიშვნა და რჩევები.





ქ. გორის III საჯარო სკოლის მოსწავლეები

ცვლილებები ზოგადი, უმაღლესი განათლების და მეცნიერების სფეროებში მართვისა და დაფინანსების სისტემის რეფორმირებით, სწავლისა და სწავლების საერთაშორისო გამოცდილების დანერგვით დაიწყო და თანმიმდევრულად განხორციელდა:

- მომზადდა კონცეფციები;
- შეიცვალა სამართლებრივი ბაზა;
- დაინერგა დაფინანსების და მართვის ახალი მოდელები;
- განაზღვრა სწავლების შინაარსი და მეთოდოლოგია;
- მოხდა მართვის დეცენტრალიზაცია;
- გაძლიერდა ხარისხის კონტროლი;
- გაიზარდა საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების ავტონომია;
- გადამზადდნენ პედაგოგები და ადმინისტრაციული პერსონალი;
- განაზღვრა საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური ბაზა;
- შეიქმნა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა.

სამართლებრივი ბაზა

2004-2007 წლებში სწორედ ფართო საზოგადოების აქტიური ჩართულობით მომზადდა ის ძირითადი კანონები, რომლებმაც განათლების სისტემის **სამართლებრივი ჩარჩო** შექმნა.

ასაღმა კანონებმა, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობა დააფუძნა დემოკრატიულობის, პასუხისმგებლობის და სამართლიანი კონკურენტულობის ერთიან პრინციპებზე, მეორე მხრივ კი მათ კანონიერების ჩარჩოში მოქმედებისთვის **სრული ავტონომია მიანიჭა**.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები:

- **ზოგადი განათლების შესახებ (2005);**
- **უმჯობესი განათლების შესახებ (2005);**
- **პროფესიული განათლების შესახებ (2007).**

განაწლდა მეცნიერების მართვის სისტემის საკანონმდებლო ბაზა:

- **“მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ” (ცვლილებებით კანონში 2006);**
- **“საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ” კანონით (2007).**



დაფინანსების ახალი მოდელი



საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ მესხინიათა დაჯილდოება. 2007

დაფინანსების ახალ მოდელზე გადასვლის და, ამავდროულად, დაფინანსების გაზრდის შედეგად განათლების სისტემა გახდა გამჭვირვალე, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კი შეიქმნა სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული კონკურენტული გარემო. ამგვარად, გაიზარდა განათლების ხარისხზე ორიენტაცია.

დაფინანსებისა და მართვის ახალი მოდელის პირობებში ყოველი საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო დაწესებულება თავისი ბიუჯეტის გან-

კარგვისას საკუთარი პრიორიტეტებით ხელმძღვანელობს, ხოლო ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის სახელმწიფოსგან დამატებით პროგრამულ დახმარებას იღებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა გადავიდა ერთ მოსწავლეზე გათვლილ, *ვაუჩერულ მოდელზე*, სადაც როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლები მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად იღებენ თანხას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა ასევე ფინანსდება ერთ სტუდენტზე გათვლილი მოდელით. ამ შემთხვევაში, *სახელმწიფო სასწავლო გრანტს* მოიპოვებენ ის სტუდენტები, რომლებიც საუკეთესო შედეგებს აჩვენებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ან სოციალური ნიშნით საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას.

მეცნიერების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელით საქართველოში სამეცნიერო პროექტების მიუკერძოებელი საექსპერტო შეფასება დაიწყო. ამის შედეგად, მეცნიერებთა ჯგუფები საუკეთესო პროექტების განსაზოციელებლად **სამეცნიერო გრანტს** იღებენ. ამასთან, კვლევითი ინსტიტუტები განაგრძობენ საბაზო დაფინანსების მიღებას. საუკეთესო სამეცნიერო პროექტების გამოსავლენად და სახსრების სამართავად შეიქმნა **ეროვნული სამეცნიერო ფონდი და რუსთაველის ფონდი** (ქართველოლოგიურ, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფონდი). ამ ფონდების მთავარი ამოცანებია: საუკეთესო პროექტების გამოვლენა, მათი დაფინანსება და პროექტების შესრულებაზე მონიტორინგი. სახელმწიფომ საგრანტო დაფინანსების შედეგად 2006-2007 წლებში უკვე დააფინანსა 222 სამეცნიერო პროექტი (საერთო ბიუჯეტით 29 მლნ. ლარამდე).



ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და CRDF-მა ბიომრავალფეროვნების შესწავლის ცენტრის სამეცნიერო კვლევებისთვის უახლესი აპარატურა გადასცა

დაფინანსების ზრდა

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მართვისა და დაფინანსების რეფორმირების შედეგად, 2004-2007 წლებში ზოდადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება დაახლოებით 114%-ით გაიზარდა და შეადგინა 295 მლნ. ლარზე მეტი. რეფორმის დაწყებამდე, 2004 წლის მონაცემებით **ზოგადი განათლების** დაფინანსებას ადგილობრივი თვითმართველობა ახორციელებდა და განკარგავდა დაახლოებით 138 მილიონ ლარს, ხოლო განათლების სამინისტრო – დაახლოებით 159 ათას ლარს.

2004-2007 წლებში **უმაღლესი განათლების** საბიუჯეტო დაფინანსება 146%-ით გაიზარდა (20,1 მლნ. ლარიდან 49 მილიონ ლარამდე), ხოლო **პროფესიული განათლების** დაფინანსება 249%-ით (3,7 მილიონი ლარიდან 13 მილიონ ლარამდე).

2004 წელს, **მეცნიერების** სისტემის რეფორმირებამდე სამინისტროს ბიუჯეტში მეცნიერებაზე განსაზღვრული იყო დაახლოებით 4 მილიონი ლარი. მეცნიერების მართვისა და დაფინანსების სისტემის რეფორმირების შედეგად, უკვე 2004 წლის ბოლოს სამინისტრომ გაისტუმრა ამ სფეროში არსებული დავალიანება (6 მილიონ ლარზე მეტი), ხოლო 2007 წელს მეცნიერების საბიუჯეტო დაფინანსებამ შეადგინა 22,5 მილიონ ლარზე მეტი.

განათლების და მეცნიერების დაფინანსების ხვედრითმა წილმა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 2007 წელს შეადგინა 2,7 %, ხოლო ნაერთ ბიუჯეტთან მიმართებით 7,5%.

მართვის ახალი მოდელი

მართვის ახალი მოდელი, რომელიც არჩევითობის პრინციპს დაეფუძნა, ასევე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ავტონომიურობასა და საქმიანობის გამჭვირვალეობას. დაწესებულებებმა, შეიძინეს რა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, მიიღეს მართვის ორგანოების არჩევისა და სახსრების განკარგვის თავისუფლება, კანონის ფარგლებში საკუთარი წესდებისა



დიუბა-ჩუღურთის განსწავლული
ზოგადსაგანმანათლებლო რესურსცენტრი



სკოლის თვითმმართველობის არჩევნები. 2006

და დებულებების თანახმად მოქმედების უფლება.

საჯარო სკოლის მართვაში ახალი სტრუქტურა, *სამეურვეო საბჭო* ჩაერთო, რომელიც სკოლის მართვისა და ბიუჯეტირების ძირითადი საკითხების გადაწყვეტისას პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების ნების გამომხატველია. სკოლის მართვაში 19 ათასამდე ადამიანი ჩართული. მართვის ასეთი მოდელი სახელმწიფოში დემოკრატიული კულტურის განვითარების მნიშვნელოვან ნიშნად შეფასდა. 2006 წლის ივნისში სამეურვეო საბჭოების არჩევნებში 750 ათასამდე მოქალაქე მონაწილეობდა.

სწორედ სამეურვეო საბჭოებს მიეცათ საჯარო სკოლის **ღირექტორის არჩევის უფლება**. 2007 წელს *ღირექტორის* თანამდებობის

დასაკავებლად კონკურენციაში 5,5 ათასამდე საქართველოს მოქალაქე ჩება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ტესტირებისა და გასაუბრების შემდეგ სკოლებს კანდიდატები წარუდგინათ. სამეურვეო საბჭოების გადაწყვეტილებით 1 166 საჯარო სკოლას (სკოლების საერთო რაოდენობის 53%) დღეს დემოკრატიული წესით არჩეული *ღირექტორი* მართავს, ხოლო ვაკანტური სკოლებისთვის 2008 წლიდან კონკურსებისა და არჩევნების ახალი ციკლი დაიწყო.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც მართვის ახალ მოდელზე გადავიდნენ. სასწავლო პროცესზე და *რექტორის* არჩევაზე აკადემიური საბჭოა პასუხისმგებელი, *წარმომადგენლობითი საბჭო* კი, რომლის 30 %-ს სტუდენტები შეადგენენ, ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს იღებს. *ადმინისტრაციის უფროსს* - კანცლერს საკონკურსო კომისია ირჩევს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მართვას უზრუნველყოფს თანამშრომლების მიერ არჩეული *სამეცნიერო საბჭო* და ამ საბჭოს მიერ არჩეული *ღირექტორი*.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ტერიტორიული მართვის მოდელიც დეცენტრალიზაციის პრინციპით შეიცვალა. ეს ნიშნავს, რომ ნაცვლად განათლების განყოფილებებისა, ქვეყნის ყველა რაიონში განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები - 72 საგანმანათლებლო რესურსცენტრი შეიქმნა, რომელთაც, ნაცვლად კონტროლისა, დაეკისრათ სკოლებისა თუ პროფესიული სწავლების ცენტრების საქმიანობის ხელშეწყობის, ინფორმაციის შეკრებისა და გავრცელების, კონსულტირების ფუნქცია.

განათლების განახლებული შინაარსი ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სახელობო განათლების ცენტრების განათლების შინაარსის გასაახლებლად შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. ცენტრში მომზადდა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის საფუძველზეც სხვადასხვა გამოცემლობაში იქმნება ახალი სახელმძღვანელოები, წიგნები და ვიდეომასალები, რომელთა ექსპერტიზას და სკოლებისთვის რეკომენდებას ახდენს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ხუთი ძირითადი საბზლეა:

1. საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მიღწეული შედეგი;
2. გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები;
3. სწავლა ნიშნავს ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას;
4. სწავლებაში მონაზრება არა ერთი დადგენილი გზის გავლა, არამედ მასწავლებლის და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტის ძიება.
5. მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა შეიმუშავა საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების ჩარჩო **სახელობო პროფესიული განათლებისათვის**. სასწავლო გეგმა ეფუძნება სახელობო განათლებაში თეორიისა და პრაქტიკის, სპეციფიკური და ზოგადი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის განვითარების ერთობლიობას, მეწარმეობის პრინციპების შესწავლას და შედეგზე ორიენტირებული სწავლების მეთოდიკას. ცენტრი ახდენს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტიზას.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებისას უპირატესი ამოცანებია ჩვენი უმაღლესი განათლების შინაარსის მისადაგება საერთაშორისო უმაღლესი განათლების შინაარსთან, კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების, პროფესიული კვალიფიკაციის დაახლოება საერთაშორისო მოთხოვნებთან, აკადემიური ხარისხების თავსებადობა, სწავლებისა და კვლევების ინტეგრაცია, სტუდენტთა და პროფესორთა მობილობა.

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების რეფორმამ საერთაშორისო განზომილება შეიძინა საქართველოს გაწევრიანებით ევროპული საუნივერსიტეტო სივრცის ჰარმონიზაციის ფართო პროცესში - ბოლონიის პროცესში (მაისი, 2005). ევროპის უნივერსიტეტების ერთიანი მიზნების შესაბამისად საქართველო უკვე დაინერგა სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლება - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა; კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა. საგანამნათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობისა და კურსკულუმის რეფორმირების მიზნით ამოქმედდა ევროპული პროგრამა "თუნინგი". მუშავდება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო.

პროფესიული განვითარება

პროფესიული განვითარება რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. განათლების სფეროს მუშაკების გადამზადებისთვის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში რამდენიმე წლის მანძილზე 7 მილიონამდე ლარი დაიხარჯა. ტრენინგები ჩაუტარდა 67 ათასამდე ადამიანს. მათ შორის, *საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოების წევრებს და დირექტორებს* - სკოლის მართვისა თუ ბიუჯეტირების საკითხებში; სკოლის პედაგოგებს - სწავლების მეთოდოლოგიებში, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, სახელმწიფო და მშობლიური ენების სწავლებაში



(არაქართულენოვანი სკოლებისთვის); *პროფესიული სწავლების ცენტრების პედაგოგებს და ოსტატებს* - თანამედროვე სახელობო პროგრამების შედგენასა და სწავლების ახალ მეთოდების დაუფლებაში.

პედაგოგთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფისა და სერთიფიცირების მიზნით შეიქმნა **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი**.

აანასწავლი პროფესიული ცენტრი „საპაზრო“ თბილისში

ერთიანი ეროვნული გამოცდები



ქ. ბათუმის საგამოცდო ცენტრი 2007

სამართლიანი, კონკურენტული გარემოს შექმნა და კორუფციის დაძლევა რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, რომელიც საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების ცენტრალიზებული მოდელის შემოღებით გახდა შესაძლებელი. ამისთვის შეიქმნა გამოცდების ეროვნული ცენტრი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვა გამჭვირვალე და მოქნილი გახდა, აღმოფხვრა კორუფცია. 2005 წლიდან ეროვნულმა გამოცდებმა მომავალი თაობის წარმოდგენები სრულიად შეცვალა და დააფუძნა ცოდნის, სამართლიანობის, ჯანსაღი კონკურენტულობის ღირებულებებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ („Transparency International“) შეფასებით: „ამ გამოცდებმა ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოში არის იმის შესაძლებლობა, რომ მთელი ქვეყნის მსშტაბით ჩატარდეს ღია და სამართლიანი შესარჩევი კონკურსი. ეს კარგად ორგანიზებული პროცესი უნდა გახდეს მკაფიო სახელმწიფოში მიმდინარე სხვა რეფორმებისთვისაც, იქნება ეს საჯარო სამსახურის რეფორმა, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება, თუ სხვა ცვლილებები“ (www.transparency.ge).

არასამთავრობო ორგანიზაციის „Freedom House“ 2007 წლის ყოველწლიურ შეფასებაში წერია, რომ „კორუფციის დაძლევაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ადმინისტრირებულ ერთიანი ეროვნულ გამოცდებს. ამ გამოცდებმა შეამცირა კორუფცია და დაამჯიღრა ხალხის ნდობა უმაღლესი განათლების სისტემისადმი. აღნიშნული რეფორმის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისარებ გამოცდებში გავალი ქულების მისაღებად სტუდენტები თანხას აღარ იხდიან.“ (www.mes.gov.ge)

ცენტრალიზებული წესით ყოველწლიურად 30-დან 40 ათასამდე ახალგაზრდის ცოდნა და უნარები გამოიცილება. ამთგან 15-დან 18 ათასამდე სტუდენტი ხდება, საუკეთესონი კი სახელმწიფოსგან სასწავლო გრანტს იღებენ. ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, როგორც ქვეყანაში კორუფციის დაძლევის ეფექტურმა მექანიზმმა.

მიმდინარეობს მუშაობა მაგისტრატურაში საერთო მისაღები გამოცდების დასანერგად. ერთიანი სამაგისტრო გამოცდები, სავარაუდოდ 2009 წელს ჩატარდება.

აკრედიტაცია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციურმა აკრედიტაციამ დაარეგულირა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის პროცესი და გაამკაცრა განათლების ხარისხის სახელმწიფო კონტროლი. აკრედიტაციის პროცესის დაწყებამდე საქართველოში რეგისტრირებული იყო 247 უმაღლესი დაწესებულება, დღეს კი ქვეყანაში 52 საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. სასწავლო გარემოსა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაცია. თვითმფეხებისა და გარე-ექსპერტიზის მექანიზმები სკოლებს საშუალებას მისცემს სწორად შეაფასონ და გააუმჯობესონ თავიანთი სასწავლო პროცესი.

სამოქალაქო ინტეგრაცია და სახელმწიფო ენის სწავლება

საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის ამოცანა მოქალაქეთა სოციალურ გააქტიურებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობას, სახელმწიფო ენის დაუფლებას და, ამავე დროს, საკუთარი კულტურულ-ლინგვისტური იდენტობის შენარჩუნებას გულისხმობს. 2004 წლიდან ამოქმედდა პროგრამები, რომლის დახმარებითაც უმცირესობების წარმომადგენლებს სახელმწიფო და მშობლიური ენების უკეთ შესწავლის, პროფესიული და სამოქალაქო განვითარების შესაძლებლობები გაუფართოვდათ. ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელმა პროგრამებმა და სოციალურმა ვაუჩერებმა გაზარდა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ქუთაისში გაიხსნა *ზურაბ ფეხანას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა*. ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლების დამეგობრებისთვის მიმზიდველი პირობების შექმნისთვის გრძელდება *სასკოლო პარტნიორობის* პროგრამა.

არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის, შემუშავდა ქართული ენის სწავლების ახალი სტანდარტები, გადაშავდა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ქართული ენისა და ლიტერატურის, ისევე, როგორც მშობლიური - აზერბაიჯანული და სომხური ენების ყველა მასწავლებელი. საბაზო და საშუალო საფეხურზე ინერგება ქართულის, როგორც არამშობლიური ენის ხუთდონიანი, თანამედროვე ტიპის სახელმძღვანელო „*თავთავი*“. სახელმწიფო დაფინანსებით „თავთავის“ ორი დონის სახელმძღვანელოს კომპლექტი (სულ 150 ათასზე მეტი ეგზემპლარი) უკვე მიეწოდა 35 000-ზე მეტ მოსწავლესა და 1 000-მდე მასწავლებელს.

ინკლუზიური განათლება



ინკლუზიურ სკოლას 4 სასკოლო ავტობუსი გადაეცა

ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება ინკლუზიური ზოგადი განათლება, მიუხედავად მოსწავლის თავისებურებებისა თუ საჭიროებებისა. მომდევნო წლებში, ინკლუზიური განათლება დაინერგება ბათუმში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდსა და რუსთავში.

„ბავშვი სახლში და არა ბავშვთა სახლში“

სოციალური ინკლუზიის მიზნების შესაბამისად, მიმდინარეობს ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა დეინსტიტუციონალიზაცია.

პროგრამის მიზანია **ბავშვთა სახლებიდან** აღსაზრდელების გადაყვანა **ოჯახურ გარემოში** (შვილობილობა), შესაძლებლობის შემთხვევაში კი **საკუთარ ოჯახში** დაბრუნება (რეინტეგრაცია). დეინსტიტუციონალიზაციის შედეგად სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვების რაოდენობა ერთი მესამედით შემცირდა და თუ 2004 წელს ბავშვთა სახლებში 5 600 ბავშვი ცხოვრობდა, 2007 წლის მონაცემებით მათი რაოდენობა 3500-ია. დეინსტიტუციონალიზაციის შედეგად დახმარება გაეწია 2470 ბავშვს. აქედან 85%-ზე მეტი ოჯახურ გარემოში სწორედ 2004-2007 წლებში დაბრუნდა (შვილობილობის პროგრამით 350, რეინტეგრაციის შედეგად 780, პრევენციის შედეგად – 1000). ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში, სამინისტროს პარტნიორი ორგანიზაციები არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საერთაშორისო და ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ინკლუზიური განათლების დანერგვით შედეგად 2007 წელს, დევიზით „ვისწავლოთ ერთად“, 200-მდე განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე შეუდგა სწავლას თბილისის 10 საჯარო სამოძღვლო სკოლაში. ინკლუზიური განათლების დანერგვის შედეგად

ინფრასტრუქტურის განახლება

ინფრასტრუქტურის განახლება თანამედროვე საგანამნათლებლო გარემოს შექმნის ერთ-ერთი წინაპირობაა, შესაბამისად, დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრები ამ ამოცანის გადასაჭრელად მიიმართა და დაიწყო **პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამების** განხორციელება. ეს პროგრამები ამოქმედდა პრეზიდენტის რწმუნებულებთან, ქალაქებისა და რაიონების მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით.



სახელმწიფო ავტობუსი

● **მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“** ფარგლებში 2006 წლიდან გარემონტდა 478 სკოლა, აშენდა 32, ახალი მერხებით აღიჭურვა 636 სკოლა, სპორტული ინვენტარით - 204 სკოლა, რაიონულ ცენტრებსა და სოფლის სკოლებს საკუთრებაში გადაეცათ 54 სასკოლო ავტობუსი.

მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“ დასრულებისათვის, 2011 წელს, საქართველოს ყველა სკოლა იქნება განახლებული, ახალი ინვენტარითა და ლაბორატორია-კაბინეტებით აღჭურვილი. პროგრამის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტში წელიწადში 80 მილიონ ლარამდეა განსაზღვრული.



ქ.თბილისის 189-ე საჯარო სკოლის სპორტული მოედანი

● **პროგრამა „გიორგი ნიკოლაძის“** ფარგლებში მიმდინარეობს სპორტული მოედნებისა და დარბაზების რეაბილიტაცია. აღდგენილი და კეთილმოეწყობილია 40 ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი თელავში, გორში, მარტვილში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში, ლენტეხში, ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალაში და სხვ. სკოლებს გადაეცათ სპორტული ინვენტარის კომპლექტები.



ქ. თბილისის 189-ე საჯარო სკოლის კომპიუტერული კლასი

● **პროგრამა „ირმის ნახტომის“** განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კომპიუტერიზაციის და ინტერნეტიზაციის მიზნით დაიწყო. ამჟამად 20 000-ზე მეტი კომპიუტერი შეტანილია უკლებლივ ყველა საჯარო სკოლაში. პროგრამის დაწყებამდე (2004 წ) ყოველ 200 მოსწავლეზე 1 მეორადი კომპიუტერი მოდიოდა. „ირმის ნახტომის“ მეშვეობით მარჯვენა ხელი ყოველწლიურად უმჯობესდება: 2005 წელს – 147/1, 2006 წელს – 59/1, 2007 წელს – 30/1. 2008 წლის ბოლოსთვის ყოველ 20



სანაძის უმაღლეს დამფუძნებელი ბიძინის სკოლა მუხარამბაშის ფარგლებში აშენდა

მოსწავლეზე გათვალისწინებული იქნება ერთი კომპიუტერი. ამ დროისთვის, ინტერნეტ კავშირით უზრუნველყოფილია 600 სკოლა, 2009 წელს კი ყველა სკოლა ჩაერთვება ინტერნეტში. „ირმის ნახტომის“ საპროექტო კონკურსებმა საგრძნობლად გამოაცოცხლა სასკოლო ცხოვრება. მოსწავლეებმა დაამზადეს 55 საჯარო სკოლის და 138 მწერლის ვებ-გვერდი. საინფორმაციო ტექნოლოგიებში გადამზადდა 18 ათასამდე მასწავლებელი, მუშავდება და საგანმანათლებლო პროცესში ინერგება, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგნის სწავლებაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციოს საშუალებების გამოყენების მეთოდოლოგია.

● **პროფესიული სასწავლებლების** რეაბილიტაცია 2006 წლიდან, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის ფარგლებში დაიწყო. ამ 2 წლის მანძილზე 13 პროფესიული სწავლების ცენტრი გარემონტდა და აღიჭურვა უახლესი ტექნიკით და დაზღა-დანადგარებით, რაც გადამზადებულ, ახალი პროგრამებითა და სტანდარტებით აღჭურვილ მასწავლებლებსა და ოსტატებს საუკეთესო სასწავლო შედეგების მიღწევის საშუალებას უქმნის. ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 11 მილიონი ლარი.

განათლებასა და მეცნიერებაში სისტემური რეფორმების ინიცირებით დასრულდა ცვლილებების პირველი ეტაპი.

მოძღვევნო ამოცანა რეფორმირებული სისტემის მღვრადობის უზრუნველყოფაა, რისთვისაც აუცილებელია ვითარების მუდმივი შეფასება და კორექტირება.

როგორც ეს განვითარებული დემოკრატიების გამოცდილებამ ცხადყო, სახელმწიფოს წარმატებას მისი მოქალაქეების კონკურენტუნარიანობა განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, სწორედ თანამედროვე განათლებისა და მეცნიერების სისტემის ნაყოფია.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო მადლობას უხდის თავის პარტნიორებს, საერთაშორისო და ქართულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებაში შეტანილი წვლილისთვის.

სამინისტრო განსაკუთრებულ მადლობას უხდის მსოფლიო ბანკს, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გაეროს განვითარების ფონდს (UNDP), გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF), ეუთოს მისიას საქართველოში (OSCE), ფონდს „ღია საზოგადოება - საქართველო“, ევროკომისიას (EC).



ტელ: 958 313
gcp@mes.gov.ge
www.edu.reform.ge



ტელ: 438 881
npig@mes.gov.ge
www.mes.gov.ge



ტელ: 438 858
npa@npa.org.ge
www.npa.org.ge



ტელ: 438 881
npig@mes.gov.ge
www.mes.gov.ge



ტელ: 439 212
pr@naec.ge; www.naec.ge



ტელ: 957 988
info@ganatileba.org
www.ganatileba.org



ტელ: 910 550; 910 552
www.dif.ge
info@dif.ge



ტელ: 911 453
tpdc@mes.gov.ge
www.mes.gov.ge



ტელ: 957 416
office@gnsf.ge
www.gnsf.ge



ტელ: 953 321
info@rustaveli.org.ge
www.rustaveli.org.ge



ტელ: 438 874
pr@mes.gov.ge
www.mes.gov.ge



ტელ: 910 227
contact@nea.ge; www.nea.ge



ტელ: 438 878
www.mes.gov.ge; pr@mes.gov.ge

ბროშურაში გამოყენებულია გოგა ჩანადირის ფოტოები

ოზურგეთის მეორე საჯარო სკოლის ფანჯრები



2004 წელი



2007 წელი